112

№33
მაისი, 2016

112-ის დრეოთ...

26 მაისი
ეს დღე ჩვენია

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი,
სალომე გელუტაშვილი, ნინო ეკიზაშვილი, მარიამ ჯმუხაძე

დიზაინი თეა კუპრაძე

01 112-ის ᲙᲝᲡᲛᲘᲣᲠᲘ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ..... ..... 83.4-5

02 112-ს ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲔᲬᲕᲘᲐ 83.6

03 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲙᲐᲛᲔᲠᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ 83.8

04 ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲯᲝᲠᲯᲘᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ 2 ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ 83.9

05 ᲭᲔᲕᲘᲐᲜᲘ ᲫᲐᲚᲚᲔᲑᲘ 83.12-13

06 ᲠᲝᲪᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝᲐ..... ..... 83.12-13

26 მაისი
ეს დღე ჩვენია

01

112-ის კოსმიური ხომალდი ვარდების რევოლუციის მოედანზე

26 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ 112 წარმოდგენილი იყო ინოვაციური საბავშვო პროექტით - „კოსმიური ხომალდი“. 112-ის შენობის არქიტექტურამ მოგვცა შესაძლებლობა ბავშვებისთვის შეგვეთავაზებინა ინოვაციური პროექტი, რაც გულისხმობდა შენობის იდენტური მინი კონსტრუქციის შექმნას, სადაც ბავშვებს ოპერატორები არაორდინალური იმიჯით დახვდნენ.

ბავშვებს თამაშით ვასწავლეთ უსაფრთხოებისა და გადაუდებელ შემთხვევებში ქცევის წესები.

112-ის მთავარი გზავნილები ბავშვებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მივაწოდეთ. კერძოდ, სპეციალურად მათთვის შექმნილ კომპიუტერულ თამაშებში მონაწილეობით მათ შეძლეს გამხდარიყვნენ 112-ის კოსმიური ხომალდის წევრები.

ყველა გამარჯვებულს გადაეცა სპეციალური საშვი, რაც მათ მისცემს უფლებას ესტუმრონ 112-ის ქოლ-ცენტრს და გაეცნონ რეალური სამუშაო პროცესს.





02

112-ს გერმანელ ჟურნალისტთა ჯგუფი ესტუმრა

112-ს საქართველოში ვიზიტით მყოფი 16 გერმანელი ჟურნალისტი ეწვია.

სტუმრებს 112-ის დირექტორმა, გიორგი ბიჭაშვილმა უმასპინძლა და ქოლ-ცენტრი დაათვალიერებინა. გერმანელი ჟურნალისტები გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში ზარის მიღებისა და შეტყობინების დამუშავების პროცესს დაესწრნენ.

უცხოელი ჟურნალისტები 112-ის სერვისებით და სამომავლო გეგმებით დაინტერესდნენ. სტუმრებმა ქვეყანაში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ნომრის ფუნქციონირების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

გერმანელ ჟურნალისტთა საქართველოში ვიზიტის მიზანი არსებული ვითარების, განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმების, საქართველოს ეკონომიკური და საინვესტიციო გარემოს უკეთ გაცნობა იყო.

მედიატურში ბერლინის პრესკლუბის წევრები მონაწილეობდნენ, რომლებიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წამყვან მედია საშუალებებს წარმოადგენენ.



ეს საინტერესოა...

03

ადამიანი, რომელიც გაზის კამერაში თავის აღსაზრდელებთან ერთად შევიდა

ალბათ ბევრს სმენია ადამიანზე, სახელად იანუშ კორჩაკი, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ მისი სახელი წარმოუდგენელ მსხვერპლთან და ჰუმანიზმთან ასოცირდება.

კორჩაკი იყო ცნობილი პედაგოგი, ექიმი და მწერალი. ამ საოცარმა ადამიანმა სამჯერ განაცხადა უარი საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე. პირველად ეს პოლონეთის ოკუპაციის წინ, ნაცისტებთან ომის დასაწყისში მოხდა, როცა იანუშმა გადაწყვიტა არ წასულიყო საზღვარგარეთ, რათა არ დაეტოვებინა ბედის ანაბარად „ობოლთა

თავშესაფარი.“ მეორედ - როცა მტკიცე უარი განაცხადა ვარშავის გეტოდან გაქცევაზე. მესამედ კი მაშინ, როცა „ობოლთა თავშესაფრის“ აღსაზრდელები საკონცენტრაციო ბანაკში მიმავალი მატარებლის ვაგონში ავიდნენ. კორჩაკმა არ მიატოვა ბავშვები და მათთან ერთად ავიდა კიბეზე. მოულოდნელად მასთან ესეს-ის ოფიცერი მივიდა და ჰკითხა:

- ეს თქვენ დაწერეთ „მეფე მათიუშ პირველი?“ ბავშვობაში წავიკითხე. კარგი წიგნია. თქვენ თავისუფალი ბრძანდებით.

- ბავშვები?

- ბავშვები ბანაკში წავლენ, მათი ბედი გადაწყვეტილია, მაგრამ თვენ შეგიძლიათ ჩამოხვიდეთ...

- ცდებით! არ შემიძლია... ყველა ადამიანი არ არის ნაძირალა!

რამდენიმე დღის შემდეგ, ტრელინკის საკონცენტრაციო ბანაკში, იანუშ კორჩაკი თავის აღსაზრდელებთან ერთად შევიდა გაზის კამერაში...

სიკვდილის გზაზე მიმავალ კორჩაკს ხელში აყვანილი მიჰყავდა ორი პატარა ბავშვი, რომლებიც ვერ ხვდებოდნენ რა ელოდათ, და ჩურჩულით უყვებოდა მათ ზღაპარს.

წყარო: **www.galanews.ge**

04

აშშ-ის ჯორჯიის შტატის პოლიციამ 2 ბავშვის სიცოცხლე გადაარჩინა

ამერიკაში, ჯორჯიის შტატში, ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრის პარკინგზე, ქალბატონმა ავტომანქანაში მარტო მყოფი 2 მცირეწლოვანი ბავშვი შენიშნა. მან სასწრაფოდ გააგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინება 911-ზე დახმარების თხოვნით.

ეს შემთხვევა მალე ძალიან ბევრი ადამიანისთვის გახდა ცნობილი, რადგან 2 დღეში, სოციალურ ქსელში 6,300-მა ადამიანმა გაიზიარა თავის გვერდზე.

ქალბატონი წერდა პოლიციას, რომ ზუსტად ვერ ხედავდა მანქანის მარკასა და ფერს, მაგრამ ხედავდა ბავშვებს მანქანაში და სასწრაფოდ დახმარებას ითხოვდა. ეს ქალბატონი ყრუ იყო, რის შესახებაც პოლიციასაც აცნობა. მან დაუყოვნებლივ მიიღო საპასუხო მადლობის წერილი და აცნობეს, რომ პოლიცია უკვე მიემართებოდა მათკენ.

ადგილზე მისულმა ეკიპაჟმა 2 მცირეწლოვანი ბავშვი ნახა მანქანაში, რომლებიც იქ 1 საათი მარტო იმყოფებოდნენ.

მშობლებმა პოლიციელებს განუცხადეს, რომ მათ 1 მცირეწლოვანი ბავშვი მეორეს ჩააბარეს, რომელიც 15 წლის იყო.

ქალაქ ალფარეტას საზოგადოებრივი უსაფრთხოების დეპარტამენტი იყო პირველი, რომლსაც ჰქონდა მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისი შშმ პირებისთვის.

მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისი ამერიკის ყველა შტატში დღესაც არ მოქმედებს. მოსახლეობა 911-ს კვლავ სატელეფონო ზარის საშუალებით უკავშირდება.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული სერვისი საქართველოს 112-ში, 2015 წლის მარტიდან მოქმედებს და განკუთვნილია მხოლოდ ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის.

სერვისით სარგებლობისთვის საჭიროა წინასწარი რეგისტრაცია. სარეგისტრაციო ფორმის შევსება შესაძლებელია 112-ის ვებგვერდზე www.112.gov.ge.

იცოდით, რომ...

05

ჯკვიანი ძაღლები...

2007 წელს, ახალ ზელანდიაში ტერიერმა 5 ბავშვი გადაარჩინა. ბავშვები ეზოში თამაშობდნენ, როცა მათკენ ორი გაავებული პიტბული გაექანა. ტერიერმა ჯერ ყეფა დაიწყო, რომ უფროსების ყურადღება მიექცია, შემდეგ კი ბავშვების საშველად გაიქცა. სამწუხაროდ, „პატარა გმირი“ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ვერ გადაურჩა.

ძაღლი მოგვიანებით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისთვის მედლით და „მეწამული გულის“ ორდენით დააჯილდოვეს.

პოლიციის ნაგაზები ბოლო გამოცდას გამძლეობაზე აბარებენ.

ფოტოზე მათ წინ ფისუნია არხეინად სეირნობს, ძაღლები კი პატრონის ბრძანების გარეშე ადგილიდან არ იძვრიან!

06

როცა დანაშაული „სასაცილოა"...

ეს ფოტო 1893 წლის 17 ოქტომბერს არის გადაღებული. მასზე გამოსახულია 2 წლის ფრანსუა ბერტილონი, რომელიც გაასამართლეს, არც მეტი, არც ნაკლები, გაუმაძღროებისთვის! თურმე, პატარა ფრანსუას კალათაში მოთავსებული ყველა მსხალი ჩაუკბეჩია. უცნობია, რა მიესაჯა 2 წლის „დამნაშავეს", მაგრამ ფოტო, რომელიც ისეა გადაღებული, თითქოს ბავშვი ნამდვილი კრიმინალი იყოს, ისტორიას დღემდე შემორჩა.

ახალგაზრდა ამერიკელი დედიკო დაიჭირეს იმ მომენტში, როცა პოლიციელი მის შვილს ძაღლებით ნარკოტიკის აღმოჩენის პროცესს უჩვენებდა.

ნარკოტიკებზე დაგეშილმა ძაღლმა ქალბატონს ჩანთაში მარიხუანა აღმოუჩინა.

ახალგაზრდა ბიჭი დაინტერესდა პოლიციის მანქანაში დამონტაჟებული ახალი კომპიუტერით და სთხოვა სამართალდამცავებს ეჩვენებინათ, თუ როგორ მუშაობდა იგი. პოლიციელმა პირადობის მოწმობა გამოართვა, რომ მონაცემები ბაზაში შეეყვანა და კომპიუტერის მუშაობის პრინციპი ეჩვენებინა. აღმოჩნდა რომ, ცნობისმოყვარე ახალგაზრდა შეიარაღებული ძარცვისთვის იძებნებოდა. ის ადგილზევე დააკავეს.

ქალმა პოლიციაში განაცხადი შეიტანა მანქანის გატაცებასთან დაკავშირებით, თან ისიც აღნიშნა, რომ მანქანაში ტელეფონიც დარჩა.

პოლიციელმა მის მობილურზე გადარეკა და გამტაცებელს უთხრა, რომ გაზეთში წაიკითხა მანქანის შესახებ და უნდოდა მისი შეძენა. ქურდს ეგონა, რომ პატრონს ჰქონდა განცხადება გაზეთში განთავსებული და „კლიენტს“ შეხვედრა დაუთქვა. პოლიციელი „გამყიდველს“ შეხვდა, დაიჭირა, გაასამართლა და ციხეშიც ჩასვა.

ინგლისელ მძღოლს პარკირების წესების დარღვევისთვის ფოსტით მიუვიდა 40 ფუნტის ოდენობის ჯარიმის ქვითარი მანქანის სურათთან ერთად. მან 40 ფუნტიან კუპიურას სურათი გადაუღო და პოლიციაში გააგზავნა. ცოტა ხნის შემდეგ, მძღოლს ისევ მიუვიდა ფოსტით სურათი, სადაც ბორკილები ეხატა. გაორმაგებული ჯარიმა იმ დღესვე იქნა გადახდილი!

მამაკაცი მაღაზიაში შეიჭრა და გამყიდველს მთელი ფულის ჩანთაში ჩაყრა უბრძანა. შემდეგ ვისკის ბოთლი დაინახა და ისიც მოითხოვა. გამყიდველმა პირადობის მოწმობა სთხოვა - არასრულწლოვანს ალკოჰოლურ სასმელს ვერ მისცემდა. მძარცველმა ინსტიქტურად მიაწოდა საბუთი. მაღაზიის მეპატრონემ, ვისკი ჩანთაში ჩაუდო, ფულთან ერთად და დაემშვიდობა. უიღბლო დამნაშავე ორ საათში აიყვანეს.

№33
ᲛᲐᲘᲡᲘ, 2016

№33, ᲛᲐᲘᲡᲘ, 2016